დანართი №2

ტექნიკური დავალება, სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები

1. ტექნიკური დავალება

1.1. პრეტენდენტმა უნდა განახორციელოს სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის სიღნაღის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) კანალიზაციის ახალი შემკრები ავზის სამუშაოები. სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია - სატენდერო დოკუმენტაციის დანართ №1-ში (ხარჯთაღრიცხვა).

1.2. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა და უსაფრთხოება: მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოს დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;

1.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:

ა) სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი თავისი ძალებით და სახსრებით 5 დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა - დანადგარებისაგან, მასალებისაგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და ა.შ;

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაოებში დასაქმებული პერსონალის შრომის უსაფრთხოება და აწარმოოს სამუშაოები აღნიშნული სამუშაოებისათვის გათვალისწინებული ნორმებისა და სტანდარტების დაცვით.

გ) შესრულებული სამუშაოების დროს გამოყენებული მასალები და შესრულებული სამუშაო უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო და საპროექტო დოკუმენტაციით მოთხოვნილ ნორმებსა და სტანდარტებს. შემსყიდველი უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევებში ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მიმწოდებელს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის გონივრულ ვადაში წარმოდგენა.

დ) სამუშაოს შესრულების პროცესში გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით. ტექნიკური აღჭურვილობის და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის ან/და სათადარიგო ნაწილის გამოყენება;

ე) განახორციელოს სამუშაო ტექნიკური დავალებით დადგენილი პირობებისა და წესების, ასევე მოქმედი სამშენებლო სტანდარტების დაცვით;

ვ) სამუშაოს მასშტაბის შესაბამისად სამუშაოს შესრულება უზრუნველყოს შესაბამისი რაოდენობის, სანდო, სათანადო უნარ/ჩვევების მქონე პერსონალით;

ზ) სამუშაოს შესრულების პროცესში უზრუნველყოს ხარისხისა და სამუშაოების მიმდინარეობის ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება;

თ) ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, აღნიშნულის შედეგად წარმოშობილ ზიანზე სრული პასუხისმგებლობა დაეკისრება მიმწოდებელს.

1.4. ნორმატიული დოკუმენტები

მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით;

1.5. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

ა) შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება საბოლოო ინსპექტირების დასკვნისა და მიღება – ჩაბარების აქტის საფუძველზე.

ბ) სამუშაოს დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს მიმწოდებელი შემსყიდველს ატყობინებს სამუშაოს დასრულების შესახებ. ფარული სამუშაოების ჩატარებამდე (არსებობის შემთხვევაში) არაუგვიანეს ერთი დღით ადრე მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ფარული სამუშაოების დაწყების კონკრეტული თარიღის შესახებ.გაუთვალისწინებელი სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდება ასეთი ხარჯების არსებობის შემთხვევაში გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევისას მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს გაწეული ხარჯების დეტალური გაშიფრვა.

2. სამუშაოს შესრულების ვადები:

სამუშაოს შესრულება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3. სამუშაოს შესრულების ადგილი:

სამუშაო უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე სააგენტოს სიღნაღის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) სიღნაღი, სოფ. საქობო;

შენიშვნა: სამუშაოს ტექნიკური დავალება მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი #2-ში.

შესასრულებელი სამუშაობი და მოცულობები მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი #1-ში